➡ ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს **საჯარო და კერძო სკოლის** ფიზიკის მასწავლებელთა კონკურსს ქ. ჟენევაში (შვეიცარია) მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნად. **სტაჟირება განხორციელდება 2024 წლის 17 - 24 მარტს.**

➡ კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 4 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ. **კერძო სკოლის მასწავლებლების სტაჟირება დაფინანსდება მათივე სკოლის მიერ.**

➡ სტაჟიორი ვალდებულია ვიზიტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, სკოლაში შექმნას არანაკლებ 10 წევრისაგან (მოსწავლე) შემდგარი სასკოლო კლუბი, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ ერთი სასწავლო წლით.

➡ კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილე:

1. უნდა ასწავლიდეს **აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო ან კერძო სკოლაში**
2. უნდა ფლობდეს **უფროსი, წამყვანი ან მენტორი** მასწავლებლის სტატუსს
3. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი **არ უნდა იყოს ნამყოფი** ზემოხსენებულ კვლევით ცენტრში.

➡ კონკურსის ეტაპები:

კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, განხორციელებულ პროექტ-გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და შეფასება.

➡ საჭირო დოკუმენტაცია:

1. CV ქართულ ენაზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. დიპლომის ასლი
4. ცნობა სკოლიდან ფიზიკის საგნის მასწავლებლობის შესახებ სქემის სტატუსის მითითებით.

   **** შენიშვნა:*** *კონკურსში კერძო სკოლის მასწავლებლის მონაწილეობის შემთხვევაში, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სკოლის ადმინისტრაციის თანხმობა დაფინანსების თაობაზე.*

5. **სკოლაში მოსწავლეებთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროექტი-გაკვეთილი ფიზიკაში ან ინტეგრირებული ფიზიკასთან პრეზენტაცია Power Point-ის სახით** (8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 8-10 წუთი)

   **** შენიშვნა:*** *პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს: პროექტ-გაკვეთილის აღწერას, განხორციელების და საბოლოო პროდუქტის ამსახველ ფოტო ან ვიდეომასალას.*

➡ **ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია და პრეზენტაცია უნდა გამოგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:** ajaraedufund@gmail.com

დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 15 თებერვალი (18.00 სთ)

შენიშვნა:

1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!

2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!!!

→ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:

ლალი ლომთათიძე

დირექტორის მოადგილე,

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

საკონტაქტო ტელეფონი: 599 940 466

მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #123